



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გავარდაშვილი გივი ვალერიანის ძე



გ. გავარდაშვილი

გავარდაშვილი გივი ვალერიანის ძე (დ. 15. I. 1958, ქ. ახმეტა), ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი, საქართვე. მეცნ. ეროვნ. აკად-ის აკადემიკოსი (2022), ტექ. მეცნ. დოქტორი (1996), პროფესორი (1998). დაამთავრა საქართვე. სას.-სამ. ინტ-ის ჰიდრომელიორაციის ფაკ-ტი (1981). მუშაობდა საქართვე. ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნ. კვლევით ინ-ტში სექტორის ხელმძღვანელად (1981–22); საქართვე. მეცნ. ეროვნ. აკად. საინჟინრო ეკოლოგიისა და წყალთა მეურნეობის ინ-ტის ლაბორ. ხელმძღვანელად (1992–2005); იყო ამავე ინტ-ის დირექტორი (2005–06), შპს

საქართვე. რკინიგზის ინ-ტის პრორექტორი სასნ. და სამეცნ. დარგში (2003–06), სსიპ წყალთა მეურნეობის ინ-ტის დირექტორი (2006–11), სტუ-ის ც. მირცხულავას სახ. წყალთა მეურნეობის ინ-ტის დირექტორი (2011-იდან დღემდე). იყო საერთაშ. ორგანიზაციების (UN, NATO, EU, UNESCO, WB და GNSF) მიერ დაფინანსებული მრავალი საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი და ძირითადი შემსრულებელი; „Erasmus+“ პროგრამის პროფესორი (2017). იყო მიწვეული პროფესორი გერმანიის, რუსეთის, ჩინეთის, ბელარუსის, ლიტვისა და პოლონეთის უნ-ტებში.

ენვეა აქტიურ საზ. მოღვაწეობას – არის ირიგაციისა და დრენაჟის საქართვე. ეროვნ. კომისიის ვიცე-პრეზიდენტი (2019-იდან დღემდე); გაეროს სოც-ეკონ. საბჭოს ECOSOS-ის საკონსულტაციო სტატუსის მქონე ორგანიზაციის ეკოცენტრის დირექტორი (2010-იდან დღემდე), სამოქალაქო საზ-ბის ასოციაციის ASCE-ის წევრი (აშშ; 2015); სოფლის მეურნეობის ექსპერტი (USAID, აშშ; 2014); ღვარცოფების საერთაშ. ასოციაციისა (რუსეთი;

2011) და სხვა საერთაშ. ორგანიზაციების წევრი; ჰიდრომელიორაციული და გარემოზე ზემოქმედების შეფასების 100-ზე მეტი პროექტის ექსპერტი (1982-2017); სარწყავი და დამშრობი სისტემების, გარემოსდამცავი ნაგებობების 300-ზე მეტი პროექტის მთ. ინჟინერი (2000-2022).

გ-ის სამეცნ. ინტერესების სფეროა: ჰიდრომელიორაცია (ირიგაცია, დრენაჟი, ეროზია), წყლის რესურსების უსაფრთხოება, გარემოსდამცავი ინოვაციური ღონისძიებების დამუშავება, ლაბორატორიული მოდელირება, დაპროექტება და კომერციალიზაცია, ჰიდროტექნიკური ნაგებობების საიმედოობისა და რისკის შეფასება.

არის მრავალი სამეცნ. ნაშრომის, მ. შ. 16 მონოგრაფიის (თარგმნილია მსოფლიოს 12 ენაზე), 12 სახელმძღვანელოს და 23 გამოგონების (საავტორო მონაწილეობა - 10, პატენტები - 13) ავტორი.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (2013), ჩენსტოხოვას (პოლონეთი) ტექნოლ. უნ-ტის (2012) და ვროცლავის (პოლონეთი) სიცოცხლის შემსწავლელი უნ-ტის (2015) ვერცხლის მედალი და დიპლომები, უკრაინის სოფლის მეურნეობის მეცნ. აკად. მედალი (2018); მიენიჭა საქართვე. დამს. მშენებლის წოდება (2023).

თბზ.: ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფებისას მთის ლანდშაფტების უსაფრთხოების ღონისძიებები, თბ., 2011; მდინარე დურუჯის ეკოლოგიური პრობლემები და გარემოსდამცავი ინოვაციური ღონისძიებები, თბ., 2018; ირიგაცია, დრენაჟი, ეროზია, თბ., 2016; Predicting Erosive and Debris Flow Processes and the Innovative Measures to Control Them, Cambridge, UK, 2022.
